პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (584) მარტი 1989 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ.
31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ი. ნარიმანიძისა და თ. შ. ანდღულაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ პ. გ. გილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
33. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ პ. პ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მოხსდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ.

39. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

40. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ.

41. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

42. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ბ. დ. ჭახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი პირის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

45. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

განყოფილება მეორე

46. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

47. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. თ. მ. გეერდწითელისთვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ო. გ. კაკაურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სასატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. თ. ა. ლომოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სასატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. გ. სიდარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სასატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ე. ს. ელოშვილისათვის „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ სასატიო წოდების მინიჭების შესახებ.

52. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ა. კ. კვიწინიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სასატიო წოდების მინიჭების შესახებ.

53. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. ა. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სასატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ო. ვ. მხეიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ სასატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა.

მუზეუმ-ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

30 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთერთმეტე სესია 1989 წლის 29 მარტს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

19293

თბილისი, 1989 წლის 24 მარტი.
№ 2114—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

31 ამხ. ამხ. ლ. ი. ნარიმანიძისა და თ. შ. ანდღულაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრის მოვალეობის შემასრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაშვებულ იქნენ ლეილა ივანეს ასული ნარიმანიძე და თეიმურაზ შოთას ძე ანდღულაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად.

2. აღნიშნული გრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 2122—XI

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

32 **დეპუტატ პ. გ. გილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს დეპუტატ პავლე გიორგის ძე **გილაშვილის** თხოვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 147—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

33 **ამხ. ო. ე. ჩერკეზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ოთარ ეტერის ძე **ჩერკეზია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი
№ 148—XI ს

მუხ. 34—35
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

34 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 149—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

35 ამხ. ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ვლადიმერის ძე **ქვილითაია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 150—XI ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

36 დეპუტატ გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი გივი გრიგოლის ძე **გუმბარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 151—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

37 დეპუტატ პ. პ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი პეტრე პეტრეს ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 152—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

38 საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

„30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის დამატებით ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია.

კომისიის ძირითად ამოცანად მიჩნეულ იქნეს რეაბილიტირებულთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფაში საბჭოთა ორგანოებისათვის ხელის შეწყობა, მათთვის აუცილებელი დახმარების აღმოჩენა მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში, საპენსიო, საბინაო და სხვა უზრუნველყოფის საკითხთა გადაწყვეტაში, აგრეთვე რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლების შექმნაში, მათი დაკრძალვის ადგილების სათანადოდ მოვლა-პატრონობაში.

კომისია ყველა საკითხს წყვეტს სხდომებზე, რომლებიც იმართება საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც. აუცილებელ შემთხვევებში კომისიას შეუძლია თავის მუშაობაში ჩაბას სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ცოდნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 153—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

კომისიის თავმჯდომარე

ვალერი ივლიანეს ძე **ვადაჭკორია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

დევი გიორგის ძე **სტურუა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

ია ბორისის ძე **გამრეკელი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

ოთარ მოსეს ძე **გორდელაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების საკითხების განყოფილების გამგე.

ვალერიან ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ანატოლი დიმიტრის ძე **დიხტიარი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

ედუარდ პავლეს ძე **ვოიცეცკი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

აბესალომ ნოეს ძე **იმედაშვილი** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე.

თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** — საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხრან ივანეს ძე **მაჭავარიანი** — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ზურაბ მელქისედეკის ძე **რატიანი** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.

კონსტანტინე თეიმურაზის ძე **სალია** — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე.

ფარატ გრიგოლის ძე **სანაკოევი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ამირან ქესაკინის ძე **ღაღაიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ვარლამ ივანეს ძე **შადური** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ნუგზარ ხვთისოს ძე **შოშიაშვილი** — საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე.

ნიკოლოზ გიორგის ძე **ჩერქეზიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე.

ვიაჩესლავ მიხეილის ძე **ცოგბა** — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გიორგი ილიას ძე **ჭანტურია** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

39 რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1988 წლის 9 დეკემბრისა „საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1989 წლის 20 იანვრისა „საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს გაუქმების შესახებ“.

2. ამ კანონის პირველ მუხლთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253):

1) 25-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო“ და „საქართველოს სსრ სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო“.

2) 27-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი“.

3) 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 29.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებოა სამეურნეო, სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა კომიტეტები, მთავარი სამმართველოები, უწყებები და — საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად — სხვა ორგანოები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ნერძეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 154—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

40 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 26 იანვრის გრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერკეზიშა.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 155—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

41 ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 7 დეკემბრის გრძანებულება ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერკეზიშა.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 156—XI ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

42 **ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 7 დეკემბრის გრძანებულება ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერკეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 157—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

43 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 13 დეკემბრის გრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუას** საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერკეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 158—XI ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

44 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი პირის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1988 წლის 2 დეკემბრისა ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ გადადგომასთან დაკავშირებით;

1988 წლის 2 დეკემბრისა ამხ. გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 30 დეკემბრისა ამხ. სერგო ტარასის ძე რიგვავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობისაგან განთავისუფლებასა და პარტიულ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1988 წლის 30 დეკემბრისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. ზურაბ პავლეს ძე მახარაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ;

1989 წლის 20 იანვრისა ამხ. რევან ჰასანის ძე კონცელიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 159—XI ს

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

45 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერკეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 29 მარტი.
№ 160— XI ს

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

46 ამხ. ნ.ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ამხ. ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაკულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 14 მარტი.
№ 2109—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

47 ამხ. თ. მ. გვერდწითელისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ესტრადის განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს თამარ მიხეილის ასულ გვერდწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 15 მარტი.
№ 2111—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

48 ამხ. ო. გ. კაკაურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოთარ გრიგოლის ძე **კაკაურიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 15 მარტი.
№ 2113—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

49 ამხ. თ. ა. ლამოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებში უმწიკლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი თევდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ალექსანდრეს ძე ლამოვი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 15 მარტი.
№ 2113—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

19293

50 **ამხ. ბ. ბ. სალარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ**

მაღალმხატვრული სცენური სახეების შექმნის, ქართული მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა პროპაგანდისა და ახალგაზრდა თეატრალური კადრების მომზადების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გურამ გიორგის ძე სალარაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 15 მარტი.
№ 2112—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

51 **ამხ. ვ. ს. ელოშვილისათვის „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ სიგელით ჯილდოების მინიჭების შესახებ**

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში წვლილისათვის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის დირექტორს ამხ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სერგოს ძე ელოშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 27 მარტი.
№ 2116—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

52 ამხ. ა. კ. კვიწინიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამართალდამცველ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ამხ. აპოლონ კონსტანტინეს ძე კვიწინიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 27 მარტი.
№ 2117—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

53 ამხ. ბ. ა. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ინსტრუქტორი ამხ. გივი ალექსანდრეს ძე მირიანაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 27 მარტი.
№ 2119—XI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

54 ამხ. ო. ვ. მხეიძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

გზათა მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტ „საქსახგზატრანსპროექტის“ მთავარ კონსულტანტს ამხ. ოთარ ვასილის ძე მხეიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 27 მარტი.
№ 2118—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა

29 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთერთმეტე სესია.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. ახაშენმ.

შეკრებილებმა ფეხზე აგებმით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატის თ. მ. ჯაფარლის ხსოვნას.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის პირველ სამ საკითხზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დეპუტატი ჯ. ი. პატიაშვილი.

უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა დეპუტატ ბ. გ. გელაშვილის თხოვნა და პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით განთავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ო. ე. ჩერქეზია და იგი განთავისუფლდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დეპუტატი ზ. ა. ჩხეიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა დეპუტატი ო. ვ. ქვილითაია, რომელიც მუშაობდა საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

მეორე საკითხთან დაკავშირებით სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი ო. ე. ჩერქეზია და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზ. ა. ჩხეიძე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ო. შ. კაბულოვი.

ამასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი გ. ვ. გუმბარიძე დანიშნულია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ იგი განთავისუფლდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან და მის ნაცვლად არჩეულ იქნა დეპუტატი ბ. ბ. ჩხეიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე.

სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ და დაამტკიცა მისი შემადგენლობა.

მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ვ. ა. კვარაცხელიამ. დამტკიცდა შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა დეპუტატმა გ. გ. ჩოგოვაძემ შეკითხვის წესით დასვა საკითხი აფხაზეთში მომხდარი უკანასკნელი ამბების თაობაზე. ამავე საკითხს ეხებოდა ბევრი დეპუტატის წერილობითი მიმართვა სესიის პრეზიდიუმისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა დეპუტატმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთერთმეტე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის სხდომა, რომელშაც განხილა საკითხი ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტების წარმოების გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, არ სრულდება მისი პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, დაბალია საქონლის პროდუქტიულობა, მცირეა ნამატი, სადღეღამისო წონამატი, ნაპარსი ერთი ცხვრიდან, მაღალია წარმოებულ პროდუქციაზე საკვებისა და ფულადი სახსრების დანახარჯები, რაც ზრდის თვითღირებულებას.

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობის 1988 წლის გეგმას დააკლეს 685 სული, 1987 წელთან შედარებით სულადობა შემცირდა 964 სულით, მათ შორის ძროხისა — 286-ით. შემცირდა ცხვრის სულადობაც.

არ შესრულებულა რძის წარმოების 1988 წლის გეგმა. 1987-1988 წლებში გეგმიურთან შედარებით 378 ტონით შემცირდა ხორცის წარმოება. რაიონის 17-დან 16 მეურნეობას არ შეუსრულებია ხორცის წარმოების 1988 წლის გეგმა. ამ მხრივ ძალზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგროფირმა ზანავი-ოველის, წაღვრის, ტბის, ჭიხარულის კოლმეურნეობებსა და ციხეჯვრის, გუჯარეთის, გვერდისუბნის, დვირის, ტაძრისის, მიტარბის საბჭოთა მეურნეობებში.

დაბალია საშუალო წველადობა. ერთ სულ საფურაჟე ძროხაზე. ნაცვლად 1600 კგ-ისა მიღებულია მხოლოდ 1360 კგ. რძე. ზოგიერთ მეურნეობაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. (გვერდისუბნის, დვირის, ტაძრისის, გუჯარეთის საბჭოთა მეურნეობები).

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სულადობის აღწარმოების საქმეში. გასულ წელს ყოველი 100 ძროხისაგან საშუალოდ მიღებულია 70 ხბო, ნაცვლად 80-ისა, ცალკეულ მეურნეობებში კი ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია (ყვიბისი, ზანავ-ოველი, ახალდაბა, წაღვერი, ტბა, გვერდისუბანი, დვირი, ტაძრისი). დაბალია აგრეთვე ცხვრის ნამატი, ყოველი 100 ცხვრისაგან მიღებულია საშუალოდ 77 ბატკანი, გეგმით გათვალისწინებული 83-ის ნაცვლად, ასევე

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბალია გოუების ნამატიც. სერიოზული ჩამორჩენაა სადღეღამისო წ�
მოღების საქმეშიც.

მთელ რიგ მეურნეობებში დიდია საქონლის დაცემითა და იძულებითი დაკვლით გამოწვეული ზარალი. 1988 წელს იძულებით დაიკლა 839 და დაეცა 206 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, რაც 1987 წელთან შედარებით შესაბამისად 406 და 140 სულით მეტია. ცხვრისა და ღორის იძულებითი დაკვლის შედეგად გამოწვეული ზარალი 1988 წელს 26928 მანეთი იყო.

რაიონში ნაკლები ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას. გასულ წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უხეში საკვების დამზადების გეგმა შეასრულეს 91, ხოლო სილოსისა — 63 პროცენტით. ჯერ კიდევ დიდია ერთეული პროდუქციის წარმოებაზე საკვების დანახარჯები.

ძალზე მაღალია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. მაგალითად, ერთი ცენტნერი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორცი 619,5 მანეთი დაჯდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 320,8 მანეთისა. უფრო მეტიც, ცენტნერი ცხვრის ხორცის ღირებულებამ შეადგინა 711,5 მანეთი, ნაცვლად 191,4 მანეთისა.

ნაკლოვანებებია სანაშენო დეკეულების გამოზრდისა და ახალგაზრდა ფუურებით ნახირის დროულად შევსების საქმეში. ფერმებში ბევრია ასაკოვანი და დაბალპროდუქტიული ფურები.

მეტად დაბალ დონეზეა სანაშენო-სასელექციო მუშაობა. არადამაკმაყოფილებელია ზოოვეტერინარული მომსახურება და ზოოჰიგიენური მდგომარეობა, რაც ძირითადად მეურნეობებში სპეციალისტების ნაკლებობითაა გამოწვეული.

აგროსამრეწველო გაერთიანებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას, რის გამოც უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა სოფლად მცხოვრები იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც არ ჰყავთ პირუტყვი.

აქვე აღსანიშნავია, რომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მოქმედი 89 ქვედანაყოფიდან სამეურნეო ანგარიშით მუშაობს 74, ოჯარით — 12 ბრიგადა, 7 რეოლი და 675 ოჯახი, რომლებსაც გადაეცათ 3798 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მათ შორის — 673 ძროხა, 1260 ღორი, აგრეთვე 4734 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ოჯარით მუშაობაზე 1 იანვრისათვის მთლიანად გადავიდნენ ბაკურიანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, აგროფირმა ზანავი-რეოლის, წაღვრის კოლმეურნეობები და მეთევზეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მოსახლეობაში მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტების წარმოების გაზრდის საქმეში აღნიშნული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასკომები სისტემატურ დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს; ამ საქმეში დაბალია საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა სხვა ფორმირებების როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა მესიამ აღნიშნა ბორჯომის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულების საქმეში და საჭირო რჩევა მისცა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს, ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ სასელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების მთავარ სამმართველოს.